



# მეცემსი

1883-1889

გ ა ზ ე თ ი ს . თ ა ს ი :

«მწევესი»	«მწევესი» რუსული გამოცემით
12 თთვით . . . . . 5 მან	12 თთვით . . . . . 6 მან.
6 — . . . . . 3 —	6 — . . . . . 4 —

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: *Во Каврилы, Во контору редакциу „Мусемси“ (Пастыр).*

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდავად, უფოდ გრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელმოწერილნი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზე დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

«მწევესი» გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის თხუთმეტს და ოც-და-ათ რიცხვებში.

## სოფლის მღვდლის ხმა მრევლთაღმის სამკალსიო-სამრევლო სამზრუნველოების და ძმობათა დაარსების შესახებ.


ღიღი ხანია, რაც უმაღლესი სასულიერო მთავრობისაგან გამოცხადებულა, რომ ყველა მართლმადიდებელ სამრევლოებში დაწესებულ იქმნეს საეკლესიო-სამრევლო სამზრუნველონი, რომელთაც ძმური შემწეობა აღმოუჩინონ სამწყსოის ღარიბთ და საწყალთ. მაგრამ ასეთნი სამზრუნველონი დღემდისაც არ არსებობენ ჩვენში, თუმცა კი ფრიად საჭიროა მათი დაარსება, რადგან ჩვენ ყველანი მართლ-მადიდებელნი ქრისტიანნი ვართ, და ქრისტიანებს ხომ უნდა უყვარდეთ ერთმანეთი და უნდა ეწეოდნენ თავის შეუძლო ძმებს, მსგავსად უფლისა იესო ქრისტესა, რომელმაც შეგვიყვარა ჩვენ და თავის თავი შესწირა მსხვერპლად ჩვენი გამოხსნისათვის.

საეკლესიო-სამრევლო სამზრუნველო არის პატარა საზოგადოება კეთილ-მორწმუნე პირთა, რომელნიც ემსახურებიან თავის უფალს და მაცხოვარს კეთილი საქმეებით, სიყვარულით და ქველ-მოქმედებით.

საეკლესიო-სამრევლო სამზრუნველოს შეადგენენ: მრევლის მღვდელი, მეღვინე, ეკლესიის მნათე, სოფლის მამასახლისი, ექვსი ძმანი მოწყალეებისა პატროსან და კეთილ-მსახურ მეოჯახეთაგან აღრჩეულნი და ექვსი დანი მოწყალეებისა, რომელთაც თავის ნებით აღირჩევს სამრევლო. რიცხვი საზოგადოების წევრთა მცირეა, მაგრამ ამ მცირე წევრთაც შეუძლიათ მრავალი სარგებლობა მოიტანონ.

სამზრუნველოს ეყოლება ფულის შემკრებნი პირნი, ეყოლება საკუთარი ხაზინადარი, ექნება თავის კასსა და თავისი წიგნი შესავლის და გასავლის ჩასაწერად. სამზრუნველოს წევრთა კრება მოხდება პირველად თვეში ერთხელ, შემდეგ კი ყოველ კვირადღეს. კრების განსახილველ საგნებად იქმნებიან სამზრუნველოს შესახები საქმეები.

სამზრუნველოს თავს მჯდომარედ დახელმძღვანელად უნდა იქმნეს მრევლის მღვდელი, ხოლო ხაზინადარს ირჩევენ თვითონ სამზრუნველოს წევრნი თვის შორის. სამზრუნველოს ფული არ შედის საეკლესიო ფულის ანგარიშში, თუმცა ეს ფულებიც შენახული იქნება ეკლესიაში. ეკლესიის და სამზრუნველოს ფულები ცალ-ცალკე იქმნებიან შენახულნი.



შესავალ-გასავალი ფულისა და სამზრუნველოს დადგენილობანი უნდა ჩასწეროს წიგნში მედავითნემ სამზრუნველოის ყველა წევრთა თანადასწრებით. კითხვების განხილვის დროს თითოეულს წევრს სამზრუნველოისას აქვს თახასწორი ხმა, ხოლო მღვდელს როგორც სამზრუნველოის ხელმძღვანელს აქვს ორი ხმა. თუ რომელიმე კითხვის გარდაწყვეტის დროს კრება გაიყრა ორ ნაწილად, მაშინ საქმე წყდება იმ მხარისაკენ, რომლისაკენ იქმნება მღვდელი.

რა საქმეებს უნდა განაგებდეს საეკლესიო-სამრევლო სამზრუნველო?

საეკლესიო-სამრევლო სამზრუნველოს უწინარეს ყოვლისა უნდა ექმნეს სია თავის სამრევლოის ყველა ქვრივთა, ობოლთა და იმ პირთა, რომელთაც სიბრძნისა ანუ სხვა რაიმე მიზეზისა გამო არ შეუძლიათ მუშაობა. სამზრუნველომ ყველა ამ პირთ უნდა აღმოუჩინოს, შეძლებისა და გვარ, შემწეობა ფულით. შემწეობა უნდა მიეცესთ შეუძლებელთ წელიწადში სამჯერ, — ქრისტეს შობის, ბრწყინვალე აღდგომის და ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულების წინ, რომ ამ ჩვენმა საწყალმა ძმებმაც ჩვენთან ერთად იღვესასწაულონ ეს დიდი და ბრწყინვალე დღეები. თუ ასე მოვიქცევით, მაშინ ეს ჩვენი საწყალი ძმები დარწმუნდებიან, რომ ჩვენ ისინი არა გყავიან დაეწყებულნი, დარწმუნდებიან იგინი, რომ ქვეყანაზე არიან კეთილნი ხელნი, რომელნიც ზრუნავენ მათზე, და ის საზოგადოება, რომელთა შორის იგინი სცხოვრებენ, არის საზოგადოება ქრისტიანული, წმიდა და ღვთიური.


საეკლესიო-სამრევლო სამზრუნველომ უნდა ფული ასესხოს მათ, რომელთაც შეხედებათ რაიმე უბედურობა ოჯახობაში. ასეთ უბედურების დროს ზოგიერთი მეოჯახე იძულებული შეიქმნება ხოლმე ისესხოს ფულები დიდის სარგებლით. ზოგჯერ 10-15 მანეთში იძულებულია გლეხი მისცეს მთელი თავისი მამულის ერთი წლის შემოსავალი. ამ შემთხვევაში საეკლესიო-სამრევლო სამზრუნველოს შეუძლია ასესხოს ფული ასეთ პირთ და ზოგიერთ შემთხვევაში გამოართვას მათ ათი ან ხუთი პროცენტი.

საეკლესიო-სამრევლო სამზრუნველომ უნდა იზრუნოს, რომ ქრისტიანულის წესით იქმნენ დასაფლავებულნი შეუძლებელი მიცვალებულნი. შეგია ჩვენგანმა უწყის, რომ ყოველი უსახლკარო კაცი დაეხეტება ქვეყანაზე, ვინემ ფეხები უძლებს. როდესაც შეუძლებლად ხდება, მიღის თავის სოფელში, შედის ვისიმე ქობში და იქვე კედება. ვინ უნდა დამარხოს იგი? ხშირად ასეთ საწყლებს ნათესავები და მეზობლები ყურადღებას არ აქცევენ. თითოეულმა ჩვენგანმა უნდა იცოდეს, რომ უსახლკარო კაციც ჩვენი მოძმეა, ქრისტიანია და მისთვისაც ენო ქრისტე მაცხოვარი და სულმა წმიდამ განწმინდა იგი საიდუმლოებით. შეიძლება იგი ყოვლად კეთილი კაცი იყო, მაგრამ გაჭირვებამ შეიძლება ცუდ გზაზე დააყენა, რადგან ძმური შემწეობა თავის დროზე მას არა ვინ აღმოუჩინა. მხოლოდ საეკლესიო-სამრევლო სამზრუნველოს შეუძლია მიიღოს თავის თავზედ ასეთი უსახლკარო პირთა დასაფლავება ქრისტიანულის წესით.

საეკლესიო-სამრევლო სამზრუნველო უნდა შეეწიოს ახალგაზდა ღარიბ პირთ, რომ იგინი მოეწყონ ოჯახში. ხშირად ხდება, რომ საწყალი ქალი მიჰყვება ცოლად ღარიბ სასიძოს. ასეთ პირთ შემწეობა არსადგან არ ეძლევათ. საეკლესიო-სამრევლო სამზრუნველოს შეუძლია ცოტადენი შემწეობა აღმოუჩინოს ასეთ ქალებს და ააცლინოს იგინი უბედურებას.

საეკლესიო-სამრევლო სამზრუნველოს შეუძლია სხვა ბევრი კეთილი საქმეებიც გააკეთოს, როცა მისი საშუალება გაძლიერდება და იგი მოიპოვებს ხალხის თანაგრძობას და სიყვარულს. მაშინ სამზრუნველო შეიძლებს შემწეობა აღმოუჩინოს თავის ეკლესიას და თავის საეკლესიო სკოლას.

(შემდეგი იქმნება).





### კავკასიის სამეურნეო განვითარების კუთხეებზე თბილისში.

15 სექტემბერს, დილის ცხრა საათზე შეიკრიბნენ მიწვეული წარმომადგენელი დიდ-კაცობა და წარმომადგენელი ყოველგვარის წოდებისა და უწყებისანი კავკასიის გამოფენის კუთხეებზე. ამავე დროს თავი მოიყარა გამოფენაზე თბილისის ქალაქის უმაღლესმა სამღვდლოებამ. ამ საათზედ მობრძანდა მისი მაღალ ყოვლად უსამღვდლოესობა, საქართველოს ექსარქოსი პალლადი, რომელსაც გამოფენის უმთავრესი შენობის წინ მიეგება შეკრებილი სამღვდლოება და საზოგადოება. სამღვდლოება შეიმოსა სამადლობელი პარაკლისის გადასახდელად. სწორედ ამ დროს მობრძანდა გამოფენაზე მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე თავისი უაღვესტოესი ძით დიდი მთავარი სერგიით. მათ უმაღლესობათ თან მოჰყენენ მთავარ-მართებელი კავკასიისა თავადი დონდუკოვ-პორსაკოვი, სტატს-სეკრეტარი ბარონი ნიკოლაი, თბილისის გუბერნატორი ზ. შერვაშიძე, თ. ლ. მელიქიშვილი, თ. ზ. ჭავჭავაძე და სხვანი. მათი უმაღლესობის მობრძანებისათნვე დაიწყეს სამადლობელი პარაკლისი. პარაკლისის ვათავების შემდეგ მისმა მეუფებამ, საქართველოს ექსარქოსმა პალლადიმ წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

და აკურთხნა ივინი ღმერთმან მეტყველმან: აღორძნით და განმრავლდით და აღავსეთ ქვეყნაი და ეუფლენით მას (შექ. 1, 28).

მიუკტირეთ უფრადლება ამა სსდმრთო მცნების უკანასკნელ შესანიშნავ სიტყვებს: და უფლებდით ქვეყნასა ზედა. უფალმა ღმერთმა, აკურთხა რა შირველნი კაცნი თავისი უოვლად ძლიერა შემომქმედი გუროსკეოთ, მასთან ერთად მისცა მათ მთავრობა დაიფლონ ქვეყნას და ყოველივე, რაიცა არს ქვეყნასა ზედა. თუძტა კაცმა შეტოდა, მაგრამ იგი მაინც უფალი და მფლობელის ქვეყნისა. თავისი სულის ძალით და დაუცხრომელი შრომით იგი იმორჩილებს ქვეყნის ყოველივე წინააღმდეგობით ძალთა, ბუნების ყოველივე მოვლენას იმსახურებს: იმორჩილებს ყოველივეს, რაიცა კი არსებობს

ქვეყნასზე. მასთან რამოდენათც უფრო იხსნიბან სულიერნი ძალნი კაცისა, რამდენათც უფრო მტკიცდება კაცის გონება და რამოდენათც უფრო ბევრს შრომობს და ხელოვნებს კაცა, მით უფრო ძლიერად და კრძლად ხდება მისი უფლება, მისი ზედმოქმედება ბუნებზე.

რომ ეს სსდმდეღია, განა ამას არ ამტკიცებს ყოველივე ეს, რაიცა განსაკუთრებითა შრომით და მოწიწებით არის აქ შეკრებილი, ყოველივე ეს, რასაც ჩვენ აქ ვხვდებით; მოკლეთ რომ ვსთქვათ, ეს გამოფენა, თუძტა იგი სრული არა და ბუნების ყოველივე ნამოქმედარს არ შეიცავს, მაგრამ მაინც გვიხატავს ჩვენი ადგილობრითი მსარის ნამოქმედარს, და ამტკიცებს ზემოთ ჩვესგან ნათქვამს. ეს საუფსოვო ნამოქმედარნი ბუნებისა, შემოშავებული და სრულ ყოფილნი კაცის ხელოვნებისა, და შრომისაგან, ეს სსქმენი კაცის სულიერ და ფიზიკურ ძალთა, სსქმენი დაუძვეველი მისი ენერჯიისა და ჭკუისა, განა თვალსაჩინოდ არ ამტკიცებენ კაცის მთავრობასა და მფლობელობასა ქვეყნასა ზედა? დიდადმ სსდმომდის კაცი თავის სულის ძალით და შეუზომარი და დაუღალავი შრომით იმორჩილებს ქვეყნიურ ძალთა; ძალა კაცის ჭკუისა და ნებისა საუფსოვოდ გამოსჩინს ბუნების ყველა მოვლენასზე, ქვეყნასზე, წყალზე ჭებრზე და ტყვლზე; კაცი ცდილობს დაიმორჩილოს ყოველივე ძალა და მოვლენა ბუნებისა და იმსახუროს და ამგვარად გაიუმჯობესოს ცხოვრება; გაძდიდრებული მცნებებით, ხელოვნებით და სსვა და სსვა გარე ცოდნითა კაცი მუდამ იკავებს სულს სსლს და სსლს გზას, რომ უკეთესად იმეფოს ბუნებაზე. სსკვირველ არიან სსქმენი შენნი, უფალა! მაგრამ სსკვირველ არიან შენის გურთხევის ძალით სსქმენიც კაცის ბატონობისა ღედა-მიწასზე. ამასთანავე თავის თავად გვაგონდებიან სსდმრთო წერილის სიტყვები: დააკლუ რა იგი, ე. ი. კაცი, მცნებად რაიმე ანგელსთანგან, დიდებითა და მსტიგითა გვირგვინისან ჭებრ იგი, და დაადგინე იგი ზედა ქმნილსა ხელთა შენთასა: ყოველივე დაიმორჩილე ქვეშე ფერსთა მისთა (ფს. 8, 6 და 7).


დაახ, კაცი დადგენილ არს მეუფედ ქვეყნისა; მაგრამ კაცს აგრეთვე უნდა ახსოვდეს, რომ იგი არ არის უზენაესი შემოქმედარული უფალი მიწისა. იგი მეუფებს ქვეყნასზე მხოლოდ ღვთის გურთხევის ძალით და ამიტომ თავის ხელთაგან ნამოქმედარს სსქმეებში უნდა ითხოვოს მან შემქმნელა ღვთისაგან, ვინა-

იღვან: ყოველივე შატრუმ კეთილ ანს და ყოველივე ნიჭი სრულ, რომელიც გამოვალს მხოლოდ უზენაესისაგან, ღვთისა, ზეცისა და ქვეყნის უფლისაგან, «რამეთუ ხელსა შინა მისსა ჩვენსა და სიტყვანიცა ჩვენნი ყოველივე შეცნიერება, და საქმეთა ხელვნება» (საბრ. 7, 16).

აი ამიტომაც შევიკრიბებით ჩვენ აქ გამოფენის გახსნისას თანავე სანასკუნდ შესანიშნავ ნაწარმოებთა ადამიანის გონებისა, შრომისა და ხელოვნებისა, რათა ვსთხოვოთ ღმერთს გუწთხეკა და სიწმიდე ამა კეთილი საქმისათვის, ვასრულებთ რა ამა წმიდა საღმრთო მოვალეობას, ეკლესიის სახელით რა უწოდებ ზეცისად კეთილი შემწის შეგლას ამა სასარგებლო საქმისათვის და თან გამოვთქვამ ჩემს მწუქმსურს მხოლოდგასა და კეთილ სურვილსა; ვინაიდან ჩვენ აქ ვსკდავთ ნამდვილად აღსრულებას ამა ღვთის მცნებასს: «ფაღობდეთ ქვეყნისა ზედა». ესრედ ადამიანის დიდის და გრცელის შრომისა და ხელოვნების პრაქტიკულად გამოქვეყნებას დასაწყისში ვისურვოთ, რომ კეთილ წარმატებულ იქმნეს მისი შედეგი და სასურველად დაკვირვებინდეს მასი ბოლო სანატრელი ნაყოფაურებითა. და იმედატა, რომ მისის იმპერატორებითა უდიდებულესობის, გამოფენის უგვგუსტრაციის მფარველის, რომელიც მარადის გუფით ეკიდება აქაური მხარის ინტერესებს, მადლ კეთილგანწყობილი უურადლებით და აგრეთვე ადგილობრივი უმახლობელეს წარმომადგენელთა მსურველ შემწეობითა გამოფენის მთელი მსვლელობა იქნება წესიერი, მიზნის შესაფერი და მრავალ ნაყოფიერი. ღმერთმა ინებოს, რომ ამ ჩვენში იშვათმა და შესანიშნავმა საქმემა მოუტანოს ნამდვილი სარგებლობა და აღადგინოს ჩვენი მხარას კეთილად დეობა საკეთილოდ მთელის დიდის და შვირფასის მამულისა და სადიდებლად საყვარელის ხელმწიფისა, აღმაშენებელის ჩვენი კეთილად დეობისა და იქმნეს მეფობა მისი გუწთხეულ და დიდებულ, და ძლიერ რეგორტ გარკვანი ძლიერებითა, ისე უხვი შინაგანი აყვავებისა და წარმატების საშუალებითა.

სიტყვის გათავების შემდეგ მათი უმაღლესობა თავისი უავგუსტოვის ძით ემთხვიენენ ჯვარს. ამ დროს მათმა მეუფებამ მიართვა მის უმაღლესობას, დიდ მთავარს მიხვილ ნიკოლოზის ქს წმ. ნინოს, საქართველოს განმანათლებელის ხალი. შემდეგ მათმა მეუფებამ ასურა გამოფენის შერობა. მათი უმაღლესობა

გამოეთხოვა მათ მეუფებს და შეუღდა გამოფენის დათვალიერებას. ნაშუადღეის პირველ საათზე მისმა უმაღლესობამ გაათავა გამოფენის დახედვა და გამობრძანებისათნავე გამოაცხადა, რომ გამოფენა გახსნილია ყველასათვისო.



თბილისის სასულიერო სემინარიის ახალი რექტორი, არქიმანდრიტი მ. ნიკოლოზი.

როგორც უკვიციან ჩვენმა მკითხველებმა, თბილისის სასულიერო სემინარიაში მოვიდა ახალი რექტორი არქიმანდრიტი მ. ნიკოლოზი, რომელიც მოსელისათნავე ბეჯითად შეუღდა თავის თანამდებობის აღსრულებას. აგვისტოს თთვეში მამა რექტორმა ნიკოლოზმა გაათავა განმეორებითი და მისაღები ეკზამენები მოწაფეთა. სექტემბრის პირველ რიცხებში, სწავლის დაწყების წინ, პატივცემული მამა რექტორი მიიქცა მისდამი რწმუნებული სემინარიის მოწაფეებისადმი შემდეგი გრძობით სავეს სიტყვით:

მადლი თქვენდა და მშვიდობა ღმრთისა მიერ მამისა ჩვენისა და უფლისა იესო ქრისტესა (ფილ. 1, 2)

მშვიდობითა და სიყვარულით მოკვიპარ თქვენთან, ჩემო საყვარელნო შვილნო,—მე ანა მსურს თქვენსკვ ბატონობა, არამედ მიინდა გემსასურნო თქვენ თქვენის აღზრდისა და განათლებას დიდს საქმეში; მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი თქვენთან მოსკვლა მოხდა არა იმდენად კაცას მსებელობითა, რამდენათაც ღვთის განკველებით, — ამიტომ ჩემი შრომაც თქვენ შრომის გუწთხეული იქმნება ღვთისაგან, და დაკვირვებინდება სასურველას წარმატებით!...

ჟერ კიდევ ჩემს ემაწვილობაში, რუსეთის დიდ მწერალთა (პუშკინისა და ლერმონტოვის) გავლენის ქვეშე, მე სმირად და დიდსანს მაყვარდა თქვენს მშვენიერს სამშობლოსკე ფიქრი,—მე გადმოკვიპავი ჩემს ემაწვილურს რცნებას თქვენი მთების სეკებაში, მჩქეფარე მდინარებთან, დაზურულ ტყეებში; ჩემს თავს წარმოვიდგინდი სოლმე სან ჟართველის სტუმრის მოყვარე



სასლში, ხან ვახით საკსე ზვრებში მშვენიერის კეთილ-სუნელაგებით აღსავსე ბუნების კალთაზედ, ხან გან-მარტოებულს სენაკში განდგეილის ბერისა, რომელიც გაქცევია ქვეყნის ამაღებას და თავი შეუფარავს სადღაც თავლ უწვდენელს მღვდელს კლდეზედ. თავდაზლობა და სიამაძვე, ზნეთა სიამარტივე და გძმნობათა კეთილ-შობილება აქაურ მკვიდრთა ყოველთვის წარიტაცებდენ ხლამე ჩემს გონებას, ასე რომ ბავშობილამე საგულის-გულო ნატკრთ გარდამეჭრა როდისმე მენახა ეს ყოვე-ლად საკვირველი მსახე ჩვენი ვრცელის სამშობლოისა. შეძვემა გაცნობამ, — მეტნიერულმა, — მზაკალ წამებულის საქართველოს ისტორიასთან, — მის მიერ საუგუნოების განმავალობაში შესრულებულს დიდებულს საქმეებთან ბარბაროსებთან ბრძოლის დროს, რომლებიც ყოველის მხრით თავს ესხმებოდენ მას და ხან ერთი და ხან მეო-რე სტანჯვადენ მას, — გაცნობამ მის ფრთხილ სასიამოვნო და მშვენიერს განწყობილებასთან ერთი და იგივე სარ-წმუნოების აღმსარებელს რუსეთთან, — კიდე უფრო გა-ნამტვირთვ და გაძლიერა ჩემში ეს აზრი და გამოიწვია უძლიერესი სურვილი ჩემი თვლით მენახა ყოველი ესე და აჭა ღვთის განგებით მან, რაც რადესდაც იყო მხო-ლოდ ყმაწვილურ ოცნებად და შეუსრულებელ სურვილად, დღეს შეისხა ხორცი სინამდვილისა: მე შუაგულ კავკა-სიაში ვარ, — მის რჩეულ შეილთა შორის, და ესტებები არა ოცნებრივე, არამედ თვალ და-თვალ საკვირველის ბუ-ნებით ამა უმშვენიერესის გუთხისა მთელს ქვეყანაზედ!.. ნეტავი ღმერთი მომტკიუნეს იმდენს ნუგეშს, რომ აქაურ ხალხშიაც არა მარტო წარმოდგენით, არამედ ნამდვი-ლად ვბრავდეთ იმ სულაერს მშვენიერებს, როგორცაც მე ჩვეულებრივ დამინატავდა ხლამე ჩემი ყმაწვილური ოცნება!

თუცა ძლიერ განსხვავებულნი არიან ჩვენი გემო, ჩვეულებანი, ზნენი, ადათნი და ენა, მაგრამ მე მაინც ჩვენ შორის ვსედავ ერთს ისეთ რამეს, რაც ჩვენ ერთ-მანეთთან გვახლოვებს და გვაძლიერებს, — ამის ბა-მი შეძლებას გვესმოდეს ერთმანეთის და არ ვერ-დებოდეთ ერთმანერთს. ეს უბრველესად — არის სარ-წმუნოება მართლ-მადიდებელი. უმტკიცეს და უსაყვარ-ლეს ამა კავშირისა, რომელიც შეგვაერთებს ჩვენ და გვხდის შეილება ერთისა და იგივე ზეცთუჭის მამისა და ერთისა დიდისა ეკლესიისა მოწაფედ — არა არის რა და არც შეიძლება.

განვავრძობთ. ჩვენ გვევს ერთი ქვეყნიური მამაც საყვარელი, ხელმწიფე, რომლის საბრძანებელში თქვენ სამშობლოს უკავია არა უკანასკნელი ადგილი და რა-

მელსაც თქვენ და მამანი თქვენნი, — დიდად სახუგემოდ რუსეთის ყველა ჯეშმარტ შვილთა, ესრეთი სიყვარ-რულით და ესრეთი შეიღური ერთგულებით მიეკებეთ და მიიღეთ წარსულა წელში: მამასადაცე ზოგა-ერთს განსხვავებასთან ჩვენ მაინც შევერთდებით ერთად საუკეთესო ჩვენ ზვრებში და სანატრულ ჩვენს გძმნობებში შესახებ ერთგვარად ჩვენთვის წმინდა საგნებისა, შევადგენთ, ასე ვსთქვათ ერთ ხორცს და ერთ სულს! ვსდგეთ მარადის შეურყეველად ამა წმიდა და შეურყეველ ნიდაგზედ და ვეცადნეთ, როგორც ამ-ბობს შავლე მორტიქელი, ერთობასა სულიასა საკვირ-ველთა მათ მშვიდობისათა (ეფეს. 3, 4).

ვეისრულობ არა ამ თანამდებობას, მე სრულიად არა მაქვს არავითარი წინა აღებული აზრები შინად თქვენ შესახებ; შირიქით, როგორც ზევით შევნიშნე, დიდი ნდობით თქვენდამი ვჭვადებ ხელს თავის მოვალეობათა აღსრულებას. თავიანთ მოქმედებაებში მე არა მაქვს გან-ზრახვა ვიხელმძღვანელო იმდენად ხმებითა და ხალხის მათქმა-მოთქმით, რამდენსდაც — განზრით, შინადი გამოცუ-დილებით, რჩეუბითა და ჩვენებით იმ შინათა, რომელ-თაც უძლიერესი მთავრობისაგან ნება აქვსთ მინიტებული ამ საქმეზედ ზრუნვისა და, ბოლოს ნამდვილის ფაქ-ტებით. ვსასობ, რომ ბრძენი და კეთილი მესაჭე სა-ქართველოს ეკლესიისა, «მთავარ-ეპისკოპოსი — მშვიდო-ბის მეთაფელი», ხელმძღვანეული დიდის ძველ-მთავრის ქვისტეს მიერ მიგიყვანსთ ჩემ მიერ თქვენც მუდრო და უმთავრულ ნათ-საუდელთან; წინდად ამისა შეუძლია იყოს მის მზაკალ-წლოვან გამოცდილებას, რომელიც მას შე-უძენია შინ და შინ ხელმძღვანელობის ქვეშ რუსეთის ძველ-მთავრობა მამისა, მალა ყოველად უსამდგელყო-ვის ისიდორესი, ასე არა ჩვეულებრივი და ამასთან წარ-ჩინებულად ცნობილი თვით ხელმწიფე ეპისკოპოსის მიერ რესკრიპტში წარსული წლის 25 დეკემბრიდამ, — და იგი სიყვარული, რომელსაც ის ყოველთვის იხენდა და იხენს მოსწავლე ხალ-თობისადმი. — ეჭვი არა მაქვს, რომ სწავლისა, აღზრდისა და მმართველის საქმეში ყველა ჩემი თანამშრომლები, მოვალეობისა და პატივის გძმნობებით აღფრთოვანებულნი, მუდამ დაიტკრენ თავს თავიანთის მოწოდების ვგორავანს სიმაღლეზე და შეუსუსტებლივ მომესმარებინ მე — თითოეული მათგანი თავისი მოქმე-დების წრეში, — მისაღწევლად ერთის ჩვენ ყველასათვის ზოგადი მარხისა, ჩვენდამი კეთილ-მონდობილის სემი-ნარისის; ვინაიდგან მხოლოდ ყველას ერთსულობას შე-უძლია კეთილად წარმართოს საქმე!..

იმედი მაქვს, რომ თქვენც, საყვარელი შვილნო, მიმიდგობ მეც იმავე გრძნობებით—მშვიდობისა და საყვარელისა, როგორც მოკვდავს მე თქვენთან. გთხოვ მე თქვენ: განსაზღვრეთ ჩემთან თავიანთი დამოკიდებულებანი არა შემთხვევითი შთაბეჭდილობებით, არამედ მოვალეობისა და პატივის გრძნობათა მიხედვით. გასწავლეთ, რომ მე თქვენთვის მარტო რექტორი არა ვარ, არამედ ვარ მამაც, — ამიტომ თქვენი დამოკიდებულებანიც ჩემთან უნდა იყოს წმიდა მამაშვილური. ჩემში თქვენ ყოველთვის შეგიძლიათ ჭეშმარიტ გულ-წრფელი მოკვეთ და მეგობარი, — რომელიც მხოდა მოგისმინოს თქვენ ყოველის თქვენის საჭიროების დროს და შეგეწიოს, რაც კი შეიძლება; მხოლოდ გთხოვთ, საყვარელი შვილნო, საქმის წარმატებისთვის, თავის თავის თხოვნებშია და განცხადებებშია ნუ გადასვალთ განონის საზღვარს და ნუწასოდეს ნუ გადაჭრებით თავსაინიბას. «წესა ყოველი საქმის სულია», ჯერ ძველებსაც კი უთქვამსთ! სასურველია, რომ ეს ბრძნული სიტყვა ძველ ხალხთა თქვენც სასკლმდგანელოთ განსადათ ყოველ თქვენს საქმეებში და დამოკიდებულებებში როგორც სემინარიაში, აგრეთვე იმის გარეთაც. ამ შემთხვევაში საყვეთესო წასაბამ მაგალითად შეგიძლიათ აიღოთ ჩვენი სასკლგანთქმული მსკდრობა. შესკდეთ, რა სიმკაცრე და რა დაწყობილებაა მასში, — დააკვირდით, თუ როგორის თანხმობით და გონივრულად მოქმედებს ამ უშველებელი სსეულის ყოველივე ნაწილი, — ერთი მეორეს ემორჩილება, — ხედავთ, რა ერთ ნაიწად არის აქ გამსჭვალული ყველა — გენერლიდამ მოყოლებული უგანასკნელ ჯარის კაცადი — მოკვლეობისა, პატივისა და წესიერების გრძნობებითა! აქ თითოეულს ძვირათ უდიარს არა მარტო თავისი (ხარადი) პატიოსნება, არამედ ყველა ამხანაგებისაც — იარადში, — ამხანაგების ბაიარადში, — მუნდიარში, — და არავის არ შეუძლია თავიანთ მოკვლეობას გადაუსვიოს დაუსჯელად, — და განსჯას შირველად ყოველისა უნდა ელოდეს თავიანთი ამხანაგებისგან. სულითა და გულით მსურს, რომ თქვენ მაიც, «ამხანაგთ შორის შეტნიერებაში» დამკვიდრდეს, თუ რომ ისინი არ არიან, — ეგრეთვე მშვენიერი წესები და ეგრეთვე კეთილშობილური დამოკიდებულებანი ურთიერთშორის, როგორც ჩვენ კსედავთ იარადში ამხანაგთ შორის, მაშინ მთლად დარწმუნებული ვარ — საზოგადოებაც დიდის წყალობის თვალთ და კეთილის გულით შემო-

ხედვენ სემინარიას და უმეტესი ხალხით შემოკვებების ჩვენ სურვილთა და მით უმეტეს — საჭიროებათა და განსაჭიროთა! მაშინ ჩვენ დაგვებადება უმეტესი კახედულობა ვაშუბდგომლოთ თქვენზე და თქვენს საჭიროებაზედ როგორც უმაღლესი მთავრობის წინაშე, აგრეთვე ადგილობრივს საზოგადოებასთან!

ბოლოს, მინო ჩემო, ვიტყვი მოციქულის მოკლე სიტყვებით, — რავდენი არის ჭეშმარიტ, რავდენი პატიოსანი, რავდენი მართალი, რავდენი წმიდა, რავდენი საყვარელი, რავდენი საქებელი, რავდენი სათნო და რავდენი ქებული, მას ზრახვდით (ფილიპ. 5, 8-9).

გარდამოინილეთ, ღმერთო, ზეცით, და მოხედენ ვენახსა ამას, და განამტკიცეთ, რომელი დაასხნა მარჯვენებან შენმან».

მისაც ყურადღება მიუტყვევია თბილისის სასულიერო სემინარიისათვის, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ წლებში, ვინც მიუდგომელად შედიოდა ყოფილი რექტორების მოღვაწეობის განხალვაში, ის, რასაკვირველია შენიშნავდა, რომ ეს სასწავლებელი წარმოგვიდგენს იმითანა პირობებს, რომელნიც რექტორისაგან ითხოვენ განსაკუთრებით ენერგიას და მამაცობას მოქმედებაში, კაცთმოყვარებას და მამაშვილურ მოქცევას მოწაფეებთან, გამოცდილებას და მიმხედვრობას მმართველობის საქმეში, სიყვარულს და თავდადებულებას საქისადმი. . . აი ამიტომაც ხალხი რექტორი აღჭურვილი უნდა იყოს ყველა ამ თვისებებით, თუ უნდა, რომ მან წარმატებით წაიყვანოს თავისი დიდი და ძნელი საქმე ახალ თაობის აღზრდა საქართველოს საექსპროზოსოში. ხანგრძლივი მახურება ჰედაგოგიურს ასპარეზზე ახალი რექტორის არქიმანდრიტის მ. ნიკოლოზისა, სრულიად გვიანდებს ჩვენ, რომ იგი დასძლევს ყოველივე დაბრკოლებათა მისთვის ამ ახალს მხარეში და ახალს სემინარიაში.





«მწეპმსი»-ს კორკმსკონდუნსი

აფხაზუთილამ

ჩვენი ხალხი, მიუხედავად თავის შეძლებისა, დიდს ხარჯს ეწევა როგორც თავისი მიცვალებულების დასაფლავების დროს, ისე ამ მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად გამართულ ადაპებისათვის, მაგრამ ეს უბრალოდ ნიუთიერად ჩვენი ხალხის დამადარიბებელი ჩვეულება, ვგონებ, ისე არსად არ იყოს გავრცელებული, როგორც აფხაზუთში. ისეთი დარიბი აფხაზი არ იქნება, რომ თავის მიცვალებულის დამარხვა და შემდეგ ადაპების გადახდა 200-300 მანეთ ნაკლებ დაუჯდეს. კიდევ კარგი, თუ მიცვალებულის ჭირისუფალს შეძლება აქვს, მაგრამ უბედურება ისაა, რომ დარიბთ არ უნდათ გამოსწყდენ თავიანთ მეზობლებში და ვარდებიან ვალებში. ადაპის დღე ინიშნება ხუთი ექვსი თვით ადრე და ცდილობენ, რომ ადაპის დღე არ შეხვდეს ან მარხვაში და ან ზამთარში. დაპატიყება ადაპზე საჭირო არ არის. დანიშნული დროის წინა დღით შორეული სოფლებიდან მოდიან დიდი და პატარა, ქალი და კაცი, და დამეს მახლობელ სოფელში ათევენ. მეორე დღეს, დილით ადრე გაემგზავრებიან ადაპზე დასასწრებლად. მიცვალებულის პატრონი ცდილობს, რომ ყველას პატივი სცეს, თუმცა თავისი სტუმრების მესამედსაც ვერ იცნობს, როცა სადილს გაათავებენ და კარგადაც შეთვრებიან სტუმრები, შემდეგ იმართება ცხენების ჯირითი. ამ ჯირითის დროს ბევრი უბედურება ხდება. ხშირად ორი-სამი კაცი კვდება და მრავალი მახინჯდება ცხენიდან გადმოვარდნით, ანუ ცხენების ერთი ერთმანეთზე დატაკების დროს.

მდიდარი აფხაზი ამ ხარჯსაც არ კმარობს. იგი ინიშნავს მარუდს და მასთან საჩუქრებს. პირველი საჩუქარი იქნება დირებელი არა ნაკლებ ასი მანეთისა და მეტი ხომ ხშირი შემთხვევაა. საჩუქრის მიღების მსურველნი დიდის ხნიდგან შეუდგებიან ხოლომე ცხენების მზადებას, ყველას ჰსურს თავიც გამოიჩინოს და საჩუქარიც აიღოს, მაგრამ ეს სურვილი ზოგს ძვირად უჯდება. წარსულს წელში ერთი ახალ გაზდა უმაწვილი ჩამოვარდა ცხენიდან და იმავე დღეს სული განუტევა.

ამდენ უბრალო ხარჯს ეწევა აფხაზი თავის მიცვალებულის დასაფლავების დროს, მაგრამ ათასი ეჭუდარა, ერთ კაპიკს ვერ შეაწირვინებ თავისი დარიბი ეკლესიის სასარგებლოდ. აქაური სამღვდელიობა მოვალეა ეს უბრალო და დამადარიბებელი ჩვეულება მოსპოს ხალხში, მაგრამ მათი სწავლა-დარიგება ხშირად რჩება «ხმად მფადადებლისა უდაბნოსა შინა».

მდ. ი. თ.—ძე.

ხაიხტორიო მასალა.

1650 წელში საქართველოში მოგზაურობა მეფის ალექსი მიხაილის მის მიერ გამოგზავნილ დესპანთა იმეჩუთის მეფე ალექსანდრესთან და ამ დესპანთაგან გელათის მონასტრის და ქუთაისის ბაგნატის ტაძრის აღწერა და ამ ტაძრებში მათგან ქათალიგლის წირვის მოსმენა.

(გაგრძელება \*).

ქალაქში არის საკათედრო ტაძარი ჭყისა და დასერიულია ხშირდენით. ტაძარი აღშენებულია უკვლად წმიდა

\*) იხ. «მწყემსი»-ს № 17.



ღვთისმშობლის სასჯელზე. ეკვლევის კედლებზე დასა-  
ტულია საუფლო დღესასწაულები და წმიდანები. მარჯვნივ  
დასატულია მაცხოვარი, რომელიც დაფარულია ვერცხლით  
და მოქაჩრილიან, ნაპირებზე ამოჭრილია წმიდანები,  
ხოლო ხატის მახლობლად სძევს დიდი ჯვარი სიგნ-  
ძით ერთი საყენი, სიგანით ნახევარი; ჯვარი დაფარუ-  
ლია მოქაჩრვილი ვერცხლით და მორთულია იაკუნდუ-  
ბით და მარჯალიტებით. მიტრეპოლიტმა წაქარიამ გვიამ-  
ბო, რომ ამ ჯვარის შუა ადგილს არის ყოველად წმიდა  
ღვთისმშობლის ჰატარაობის მარჯალიტი გბილი და  
თბა, რომელიც დაიგლიჯა. მან მაცხოვრის ჯვარცმის  
დროს და რძე ყოველად წმიდა ღვთისმშობლისა; ჯვარის  
შუა გაკეთებულია ჰატარა ოქროს კიდობანი, რომელსაც  
ოქროსივე დასაკეტი აქვს. კიდობანი არის სიგნძით და  
სიგანით ერთი ხარქვი, კიდობნის კუთხეებში ამოჭრი-  
ლია ქერხბინი, დასაკეტის შუა ხავენილია დიდი თხი-  
ლის ტოლა იაკუნდი. ხოლო დასაკეტის გარშემო მო-  
ყვლებულია იაკუნდები. მიტრეპოლიტმა წაქარიამ გვიამ-  
ბო შემდეგ: «ეს კიდობანი და დასაკეტი გაკეთებულია  
იმ ოქროსაგან, რომელიც მინათვეს ზეწისიელმა მოგებე-  
მა ღვთისმშობელს ქრისტეს დაბადების დროს, იმ  
ჯვარის მახლობლად არის ხატი ყოველად წმიდა ღვთის-  
მშობლისა საუყურთ მითურთ, ხატის შუაგულნი და  
ნაპირები მოჭრილია ვერცხლით, ღვთისმშობლის გვირ-  
გვინი მოქაჩრვილია, ხოლო მაცხოვრის მთლად ოქ-  
როსისა; გვირგვინის ზემო ნაპირებზე დასა-  
ტულია წინასწარმეტყველნი და მოციქულნი; გვირგვინები  
მორთულნი არიან იაკუნდით და მარჯალიტით; მარცხნივ  
არის ყოველად წმიდა ღვთისმშობლის ხატი საუყურთ-  
ძითურთ იმავე ზომისა; ეს ხატი ზირველის მსგავსად  
არის მორთული, ორივე ხატების ოქროს ქვეშ დასატუ-  
ლია მეფე, რომელიც ეკედრება დიქროს. მაგრამ არ  
აწერია, თუ რომელი მეფეა სახელდობრ. მიტრეპოლიტ-  
მა წაქარიამ გვიამბო, რომ ამ ხატზე გამოხატულნი  
არიან ის მეფენი, რომელთაც ააშენეს ეს ტაძარი და  
ქალაქი, მაგრამ მათი სახელები არ ვიცით. ამ ხატის  
მახლობლად არის ხატი ღვთისმშობლისა, რომელიც  
ზის ტახტზე თავისი საუყურთ ძითურთ, ხატი საუ-  
ცხოვრია. ღვთისმშობლის და მაცხოვრის სახე

ნაპირები და ჰატარა კიდობანი დაფარულია ოქროთი,  
რომელსაც ამოჭრილია მთავარანგელოზისი და მოცი-  
ქულნი და მორთულნი არიან იაკუნდებით და მარჯალი-  
ტებით, ხოლო დიდი კიდობანი დაფარულია მოქაჩ-  
რვილი ვერცხლით. კიდობანზე დასატულნი არიან საუფ-  
ლო დღესასწაულები და წმიდანები. ამ ღვთისმშობლის  
ხატის უკან გვერდზე გაკეთებულია ორმოცდახუთმე-  
ტი კიდობანი, რომელშიაც განისვენებენ ნაწილნი წინას-  
წარმეტყველები, მოწამეთა და მწავალ ღირსთა მამთა.  
ამ ხატის შემდეგ არის ხატი ყოველად წმიდა ღვთის-  
მშობლისა თავისი საუყურთ ძით, ამ ხატის მოყვობი-  
ლობა, შუა კიდობანი, წმიდანები, დიდი კიდობანი და  
დასაკეტი მოყვობილნი არიან ღვთისმშობლის ზირველს  
ხატის მსგავსად, ხოლო უკან გვერდზე გაკეთებულია  
ოცდათვრამეტი კიდობანი, რომელშიაც განისვენებენ  
ნაწილნი წმიდანებისა.

საკურთხევლის ჩრდილოეთის კარებთან მიტრე-  
პოლიტის ადგილის და მარცხენა სამკალობლოს მახ-  
ლობლად არის სახე ყოველად წმიდა ღვთისმშობლისა,  
რომელსაც ხელი ამოჭრილი აქვს უფლისადმი და ღოც-  
კიდობს. ხატი საუცხოვრად არის მორთული. მიტრე-  
პოლიტმა სთქვა, რომ ეს ხატი დასატულია წმ, მოცი-  
ქულის და მახარებლის ლეჟასაგან. ზირის სახე და ხე-  
ლები ღვთისმშობლისა დასატულია საუცხოვრად და ხე-  
ლოჯრუხად თეთრად, ხოლო სამოსელი ასხმულია ძივის  
ძიფზედ, გვირგვინი და კალთები დაფარულია ოქროთი,  
გვირგვინში და ნაპირებში არის ოცდაოთხი იაკუნდი,  
ხოლო მწკანე იაკუნდი და ზურმუხტის არის ორმოცდა-  
ორი. ღვთისმშობლის გვირგვინის ზემოთ არის მარჯა-  
ლიტი მოზრდილი თხილის ტოლა, ღვთისმშობლის  
მკედრზე არის აღმასი, ხატის საშუალო კიდობანი და  
დაფარულია ოქროთი და მორთულია საშუალო და ჰატარ-  
ა იაკუნდებით და ზურმუხტებით, ხოლო დიდი კი-  
დობანი ამ ხატისა და სვეტი და კიდობნის ზემო ნაწი-  
ლი დაფარულია ვერცხლით, კიდობნის ზემოთ დასა-  
ტულნი არიან დღესასწაულები და წმიდანები, კიდობანზე  
ავარია ზემოდ ოქროს საკვრდის საფარი.



იმავე ხატის წინ სდგას პატარა ყუთი, რომელიც დაფარულია ვერცხლით; სიგრძით ეს ყუთი არის სამი ჩრქეი, სიგანით ექვსი გოჯაა, ყუთზე დასმულია მეფის ბეჭედი. მიტრეპოლიტმა სთქვა, რომ ამ ყუთში განისვენებენ ნაწილნი მრავალთა წმიდანთა, მონაწილე-თა და მოწამეთა, რომელთა სასკელები არ უწყია.

იმავე ყუთზე სდევს შესვეული გარდამოხსნა, რომელზედაც გამოხატულია ჩასვენება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი საფლავში. ტანი და სახე ღვთისმშობლისა, მონაწილეებისა, ანგელოზებისა და ქერბიმთა მოწითულნი არიან მსგავსად მოსკოვის გარდამოხსნისა, მხოლოდ ცოტათი ნაკლებია, მოჭრულია შავს საგვრდზე.

მიტრეპოლიტმა შესანიშნავად გვიამბო, რომ ხატი უოკლად წმიდა ღვთისმშობლისა, რომელიც დახატულია მასარებელის ლუკასაგან, და კიდევ ორი ხატი ღვთისმშობლისა და ჯვარი მოსტანისა თან კონსტანტინეპოლიდგამ კეთილ-მსახური მეფის კონსტანტინეს ქალს ირინეს, რომელიც მიეთხოვა მილიტიის მეფეს დავითს.

იმავე ეკლესიაში, ტრაპეზონს, სამეუფო კარების მასლოლად გაკეთებულია ჩამოსაფარებელი ოქროს საგვრდისა, რომელზედაც გაკეთებულია ჯვარი მარგალიტებით. ჯვარი სიგრძით იქნება ერთი არშინი.

სამეუფო კარზე შემოთ არის მაცხოვრის დიდი ხატი და უოკლად წმიდა ღვთის მშობლისა, პარის სახე დაფარულია ვერცხლით, სიმოსელია, გვირგვინები და კალთები მოაჭრილნი არიან, მაცხოვრის ხატის შემოთ არის ნახევარა საყენის სიგრძე ჯვარი, რომელიც დაფარულია ვერცხლით; ჯვარზე ამოჭრილია უფლის ჯვარცმა.

მარჯვენა მხარეზე არის ხატი მოწამე გიორგისა, ხატი დაფარულია ვერცხლით; მოწამე გიორგი, ცხენი და გველი ამოჭრილია. მიტრეპოლიტმა სთქვა მოწამე გიორგის ხატის შესახებ შემდეგი: იმ ვერცხლზე ამოჭრილია უფალი ჩვენი იესო ქრისტეს მიტემა იუდა ისკარიოტელისაგან. შოგიერთი ხატები და გვირგვინები დაფარულია ოქროთი და მათ ნაპირებზე დახატულნი არიან წმიდანები.

საკურთხეველში ტრაპეზი ოთხ-კუთხიანი არის, დაფარულია ოქროს ატლასის პერანგით, ჯვარი პერანგზე ადმულია მარგალიტებისაგან და სიდიდით ერთი არშინი იქნება, ხოლო ჯვარის ძირში ადამის თვალებია მარგალიტისაგან გაკეთებული.

ტრაპეზზე არის ორი სასარება, რომელნიც დაფარულია არიან ოქროთი, ერთ გვერდზე ამოჭრილია ჯვარცმა, ხოლო მეორეზე ხატი მაცხოვრისა, უოკლად

წმიდა ღვთისმშობლისა და იოანე წინამძღობისა, რომელიც დახატულია არიან მდგომარენი.

საკეკლესიო ჭურჭელნი, ბარძიმი, თევში და ვარსკლავნი ოქროსი არიან, მეორე ბარძიმი ბრელისა, ძირი აქვს ოქროსი, ვოკსი არის ბრელისა, ჭურჭლებზე არავითარი გამოხატულება არ არის.

დიდი ჯვარი მთლად ოქროსია, ხოლო ოქროშია ჩასმული. ჯვარზე არავითარმე გამოხატულება არ არის. ორი საცეცხლური, რომელთაგან ერთს აქვს სახურავი, ხოლო მეორეს არა.

იმავე ეკლესიაში სვეტთან დანიშნულია მიტრეპოლიტისათვის ადგილი, რომელზედაც დახატულია არიან წმიდანები და უწინდელი მიტრეპოლიტები; თუკნთ ქვეშ უგაათ ოქროს საღიზა, საღიზაზე სდგანან საგარძლები, რომელთა სვეტები დაფარულია ვერცხლით; ხატების წინ ქოროგანდლების მაგიერ მიკრულია არიან კედლებზე ოცდა-ოთხ ვერცხლის სტაქნის მსგავსი ჭურჭელნი, რომლებშიაც ასხია ზეთი. ამ ჭურჭლებს ანთებენ ბრწყინვალე დღეებში.

ეკლესიაში, საკურთხეველის მარჯვენა მხრით გაკეთებულია უფლის შესანახი ვიდობანი, რომლის სიგრძესიგანე და სიმაღლე იქნება ერთი საყენი; ამ ვიდობანში არის უწინდელი მეფეების სიმდიდრე; მეფეების ოქროს გვირგვინები და ჯვრები, რომელიც მოწითულნი არიან იატუნდებით და აღმასებით, ერთ გვირგვინის სამოსელია მარგალიტებისაგან არის გაკეთებული.

ლრამატიკა მცნირებაა თუ ხელმოწევა.

(გაგრძელება \*).

არ მოეთხოვება შეგნებულბას ის, რაც ცოდნას და არ მიენდობა ცოდნას ის, რაც შეგნებულობამ უნდა მოგვცეს. ამიტომ მკაცრათ აღკრძალულია პედაგოგისგან ფილოლოგიურ—ლინგვისტურ—ისტორიული კვლევა—კირკიტი (ჩვენი მეცნიერი—კრიტიკოსი კი მწარეთ უსაყვედურებს «სწორმეტყველებს» ავტორს, რათ დაწერილობით არ მოგვიყვარო, თუ საითგან წარმოდგა სიტყვა ლმერთი). მოჩვენებული მეცნიერება ჭეშმარიტის მეცნიერებისაგან სხვაობს თავისი ნიშნებით. ჭეშმარიტის ნიშნებია შემდეგი: სულის თვით ჩარღმავებულება და განრილება

\* იხ. «მწყემსი»-ს № 17.



არა რაის ამხსნელთ ცოდნათაგან, რანიც ეგებ ახალნიც იყონ და ფრიად სანუკველნი თავის თავად; აღძრვა ისეთის კითხვებისა, რაზედაც ჯერ არიან დაფიქრებულა, სთელიდენ რა მათ უკვე გარდაწყვეტილებად, ან ყურადღების არა ღირსეულებად; იშვა თუ არა მეცნიერება საზოგადო დაქვერების დროს ქვეყნიერობის შეგნებულობისა და ცხოვრების მიმდინარეობაზე; ან კიდევ იშვა თუ არა იგი, მეცნიერება იქვისა, ანუ უეროებისაგამო.

აი ამიტომ მეცნიერებაში შედიან მხოლოდ ის ცოდნანი, რანიც გამოსადგენი არიან შეგნებულობისათვის, გონიერის უზენაეს მისწრაფებისა და წყურვილისათვის. მკრე რომ არ იყოს, ყოველს მამაკვდავს შეეძლო, ადვილად, გაეფართოებინა მეცნიერების შეკულობა, ოღონ რაჲე და რაზედმე შეეტყო ნამდვილი. მკრე რომ არ იყოს მეთქი, მეცნიერების ხარისხზედ უნდა აგვეყვანა ის აუარებელი ცოდნანი, რანიც ქონიათ და აქეთ სხვა-და-სხვა ერებს, რომელთათვის სამართლიანათ ამბობენ, რომ მათ მეცნიერება არ აქეთო, მეცნიერების სალოროში თავიანთი წელილი არ შეუტანიათო. ბოჩებს, ნადირ-ხალხებს ძლიერ ბევრი ცოდნა აქეთ, ნამდვილი და უტყუარი, მაგრამ მათს მეცნიერობას, თუ არ ჩვენი უებრო კრიტიკოსი, სხვა ვინ იტყვის.

რა ნადირ-ხალხებს? ჩინელებს უამრავი ცოდნა აქეთ, მეტათ სანუკველი, ჭეშმარიტი და საკვირველიცა, ევროპელებზე უფრო აღრე შეძენილნი, მაგრამ მათს ცოდნათა მთლიობას მეცნიერებად არავენ რაცხს, არც არავენ ამბობს, რომ ჩინელებს მეცნიერება აქეთო. (თქვენ და გასაკვირებლათ ღრამატიკაც კი აქეთ თურმე იმ მუხანათებს!) რათაო? და მათაო, რომ ამ ძველის ძველ ერს ჯერ არ შემჩნევა მისწრაფება იმ წმინდა შეგნებულობისადმი, რაცა შეადგენს მეცნიერების უუმაღლეს დანიშნულებას და არც სამეცნიერო განზრახვით მოუპოვებიათ ეს ცოდნანი, არამედ წმინდა საარაკტიკო მიზნით. ძველა იმათი ცოდნანი ეკუთვნიან დიტონ ცოდნათა ჯგუფს, რაიანგანაც მომავალი მეცნიერება ბევრს ისარგებლებს. მაშასადამე ღრამატიკა არ ყოფილა მეცნიერება. ბაიგეთ, ბ—ნო კრიტიკოსო? თუ ვერ გაიგეთ, ცოტას კიდევ განეგებობთ: თქვენს გადამკიდეს ჩინის მეტი რა გემართებს?

მრთი განსაზღვრება მეცნიერების ასეთია: «მეცნიერება არის უცვალებელი შეგნებულობა უცვალებლათ არსისა». ღრამატიკა განა უცვალებელი საგანია. ბანა ქართული ერის ღრამატიკური წესები

დღეს ყველა ისეთივეა, როგორნიც ძველათ იყვენ? ბანა ახალ ბერძნულის სწორმეტყველება დღეს ისეთივეა, როგორც კლასიკურს დროს იყო? ბანა ძველის, დრომოქმულის ფორმების აღდგინება, როგორც ზოგნი ლამიან, შეიძლება ენაში? განა ღრამატიკოსი მოვალე არაა, რომ ცოცხლის თანადროულის ერისგან გამოიყვანოს ღრამატიკური კანონები? ეს ყოველივე იცით, თქვე დალოცვილო, ლუარსაბისა არ იყოს, და მაინც კიდევ დაგიჭინათ, ღრამატიკა მეცნიერება არისო, თუნდაც იგი ცვალებადი იყოსო თანხმად თანადროულის საერთოთ მიღებულის სწორმეტყველებისა. აბა რომელი მეცნიერება შერება იმას? ბანა ბუნებითი რჯული ცვალებადია? თქვენ, ბ—ნო კრიტიკოსო, ის კი არ დაიხვიოთ ხელზე, მათომ ჩვენ ერის განვითარების წესი და რჯული ცვალებადი გვეგონოს. პირიქით—აქაც იგივე ბუნებითი რჯული მოქმედებს, რაც ყოველ ბუნებითი რჯულის შესახებ. მეცნიერებაში შედის მხოლოდ ის ცოდნა, რომელსაც აქვს ზემორე ნაჩვენების განსაზღვრების (მეცნიერებისა) ხასიათი და იწოდებიან «სამეცნიეროდ» (და არა მეცნიერულად). რომელთაც ეს ხასიათი არ აქეთ, იმათი სამეცნიეროდ ჩათვლაც შეუძლებელია, არათუ მეცნიერულად. «ზემორე აღნიშნულს განსაზღვრებას შეუძლია განხდეს კრიტერუმად მეცნიერებაში შესატანთ და არ შესატან ცოდნათათვის», ამბობს ერთი ცოტა ჩვენს კრიტიკოსზე უკეთესი, მეცნიერი. ღრამატიკა არა თუ თვითონ არ არის მეცნიერება; კიდევ მეტს ვიტყვი—ღრამატიკაში არა თუ ყოლაფერი «მეცნიერული» არ არის, არამედ მასში ბევრი ისეთი ცოდნა, რაც «სამეცნიეროდ» არ არის. ბევრი კი, მართალია, სამეცნიეროა, ე. ი. რომლისამე მეცნიერებისთვის გამოსადევი, რომლისამე იდენს დასასაბუთებელი. ჩვენს კრიტიკოსს ურჩევთ, კიდევ წაიკითხოს «სწორმეტყველების» 87, 88 და 89 გვერდი და შეიტყოს, თუ, რას ნიშნავს თავსართი სს და რას ნაბოლარი უდი უნი, და სხ. «სწორმეტყველებაში» წერია: «ღრამატიკა საერთოთ არ არისო მეცნიერული შრომა». ეს იმას ხომ არ ნიშნავს, სამეცნიეროდ არ არისო.

ჩვენს კრიტიკოსს არ გაეგება მნიშვნელობა სიტყვისა «საერთოთ». ამის მაგიერად იგი ყოველგან ხმარობს სიტყვას საზოგადოდ. ღისწავლეთ, ბ. კრიტიკოსო: მოპირისპირე სიტყვა სიტყვისა «საერთოთ» არის სიტყვა «კერძოთ»; ხოლო მოპირისპირე სიტყვა სიტყვისა «საზოგადოთ» არის სიტყვა «დაწერილობით» «გამოწვლილით». ამის დასამტკიცებლად

ათასს მაგალითს მოგიყვანო. იხილეთ, სხვათა შორის, თქვენგან მოწონებულის ანტონ კათალიკოსის «მეტაფიზიკა», სადაც მკაცრათ გაჩეულია ეს ორი ცნება, სიტყვა.

«სწორმეტყველების» ავტორს უხმაურია სიტყვა *საქნათათ*, ალბად იმიტომ, რომ იმის მოპირისპირედ ეგულებოდა სიტყვა «კერძოდ». აი რათ:

ათასში ერთხელ მხოლოდ კი შეიძლება ღრამატიკას ეწოდოს მეცნიერული შრომა და როგორც ხედავთ, ეს არ დაეიწყინა «სწორმეტყველების» ავტორსა. ეს შეიძლება მაშინ, როცა მეცნიერი ჩვეულებრივს ღრამატიკას, სახელმძღვანელო წიგნს როდი წერს რომლისამე ვნის, როგორც ვნის, შესასწავლათ; არამედ მას აქვს აღებული რამე იდეა და მის დასასურათებლათ მოყავს ფაქტები, სხვათა შორის, ღრამატიკითგან, ეტიმოლოგიითგანაც. მთქოთ მეცნიერმა განსაზრა—დაამტკიცოს რომლისამე ერების მონათესაობა. მაშინ მეცნიერი იკვლევს და ადარებს ერთმანერთათ იმ ერების ენებს. თუ თვისტომობა იპოვა, ამას ამჟღავნებს, სხვათა შორის, ღრამატიკურს ცნობებზედაც. მაგრამ ამასთანავე უნდა გვანსოვდეს ისიცა, რომ მეცნიერი ამ შემთხვევაში თავისს შრომას დაარქმევს ხოლმე განსხვავებულ სახელს: *შედაწებითი დანამატკაჲ*, *ისტორიული დანამატკაჲ* და მისთ. და არა ჩვეულებრივ სახელს—*დანამატკაჲ*, რომელიც არის მხოლოდ კრება საუბრის კანონებისა. ამ უკანასკნელ გვარის ღრამატიკას ეტყვიან *შედაგენიდს* და მეცნიერების შედგენა სად გავიზილა? ღრამატიკა *საქნათათ* და ყოველთვის მეცნიერული შრომა ისე არაა, როგორც არაა ლექსიკონი. ძერძოთ კი შეიძლება რომ ლექსიკონი მეცნიერული შრომა იყოს. და მაშინ ასეთს ლექსიკონს, (ისე როგორც კერძოთ, ღრამატიკას) აქვს თავისი განკერძობებული სახელი: საბოტნიკო ლექსიკონი, საზოოლოგიო ლექსიკონი მინერალოგიური, ასტრონომიული და სხ.

დღეს ჩვენში არის რამდენიმე ყმაწვილ-კაცი, რომელნიც ბევრსა სწერენ საეტნოლოგიო, საარჯულ-მეტყველო, სასიტყვიერო ცნობებს და მასალას. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, არც ერთი მათგანი ისე არ გაბრძოვებულა, რომ თავი მეცნიერი ეგონოს. ბევრი იმათ ნაწერთაგანი, შეიძლება, თავის დღეში ვერ შევიდეს მეცნიერებაში; ბევრი კი, უეჭველია, სამეცნიეროდ გახდება, მაგრამ ეს რომ იმას არ ნიშნავს, რომ ეს კაცები მეცნიერნი იყონ, ან მათი ნაწერები მეცნიერულნი. ბ—ნ ძარბიჭაშვილს კი, ორიოდ

ცნობა რომ ამოკრიბოს რომლისამე მეცნიერის წიგნითგან, თავი მეცნიერი გონია...

თვითეული მეცნიერება განიხილავს ხომ ბუნების რჯულებს და ეს უკანასკნელნი ხომ უცვლელნი და გარდუვალნი არიან. ღრამატიკაში კი ძვირია ისეთი კანონი, რომ იქვე არ უჯდეს თავისი გამონაკლი. მეცნიერებაში, ისე როგორც ბუნების რჯულში, რიგსგარეთობა ყოვლად შეუძლებელია. ღრამატიკა არის მატერია. მატერიის შერევა იმის ძალასთან ყოვლად მოუხერხებელია. მამოძიდელობის ძალა, მაგალითად, ნივთი როდია, ან მატერია, თუმცა ნივთში, ან მატერიაში იმყოფება. სითფოს სხვა და სხვა შემთხვევა რომ იცოდე, ანუ კიდევ სხეულთა მოძრაობისა, ეს მეცნიერებას როდი შეადგენს. მაგრამ ცოდნა და შეგნება სითფოს სამარადისო თვისებათა და მოძრაობის მუდმივო წეს-რჯულთა, აი ეს კი მეცნიერების სული და გულია. აგრეთვე, ჩვენ რომ კანკლედობა ვიცოდეთ და ბრუნვათა ნაბოლარები, ანუ წინადადების წვერნი და საყენებელი ნიშნები, ეს სულ საპრაქტიკო ცოდნაა. «მეცნიერი არა ქვია, თუ სადმე თქვას ერთი-ორი.» მეცნიერება ეხება იმ ძალებს, რანიც თვითონ კი არ არიან წარმოებულნი (როგორც, მაგალითათ, ღრამატიკური კანონები,) არამედ თვითონ აწარმოებენ სხვა-და სხვა მოვლინებას, მათ ემიზნებებიან და მათში იცხადებიან. ამიტომ მეცნიერისთვის სახუკველნი არიან თვით ფაქტები კი არა, არამედ ის უხილავი რამ, რაც მათში არის დაფარული და რასაც ბუნებითი რჯული ქვია. აბა ღრამატიკაში რა ბუნებითი ძალები, იდეები და რჯულები უნდა განესჭრიტოთ, ერთი გვიბძანეთ, მაშინ, როცა ღრამატიკა თავით ბოლოქდე აღწერილობაა. ძალდევალ—ბაბილონელები იკვლევდენ ცას, მეცნიერულის მიზნით კი არა, არამედ საპრაქტიკოთი. ამიტომაც ისინი შორს იყვენ ასტრონომიისგან, როგორც მეცნიერებისგან, თუმცა ბევრი მათი დაკვირება შემდეგში დაუფუძებულმა მეცნიერებამ, ასტრონომიამ შეიწყინარა.

მეცნიერების მიზანია მეთქი შეგნებულება; განათლების, წივლისა კი ისაა, რომ დაამხადოს კაცი ამისათვის წინასწართ ცოდნათა მოპოებით. ამ სამხად ცოდნათა კრებულს ეკუთნის ღრამატიკაცა. ძაცობრიობის იდეალია, რომ ყველანი მეცნიერნი და ხელოვანნი იყონ მაგრამ ეს იდეალი ისე ძნელი მისაწდომელია, რომა მეცნიერება და ხელოვნება გამხდარა საშკვიდროდ კაცთა თითქო განსაკუთრებულის

წოდებისად, ამისგანა, რომ აუარებელი ადამიშვი-  
ლი ცხოვრებს ამ ცოდვილ დედა-მიწაზე ისეთი, რომ  
არც მეცნიერია, არც ხელოვანი, მაგრამ გამოდიან  
როგორც არის (ჩვენც იმათში ჩვენი თვალის სინა-  
თლევ კრიტიკოსი). ამით შორის განათლებულნიც  
ბევრნი არიან და—ასე გასინჯეთ—სწავლულნიცა.  
როგორაო კიდევ გაიკვირებებს ჩვენი ნიჭიერი გამკვი-  
რველი და დაცნეული კრიტიკოსი—განათლებულნი  
სწავლულნი და იმავე დროს მეცნიერნი არაო!—  
ასეა და რა «სწორმეტყველების» ბრალია? მომხდა-  
რა ისე, რომ ამ კაცებს აქეთ, სიმეტ-ნაკლით, შეძე-  
ნილი რამდენიმე, პრაქტიკური და თეორიული ცო-  
დნა (მათ შორის ეგებ ღრამატიკაცა) და იმითი გა-  
მოდინან. მამ მეცნიერებასა და ხელოვნებას გარდა  
არის კიდევ მესამე კათიგორია, რომელსაც ეკუთნის  
ეს თქვენგან წამებული ღრამატიკაცა, ეს კათიგორია  
არის ე. წ. ღრამატიკა. რუსები ამას ეძახიან  
«Простыя знания» რასაც ეკუთნის აგრეთვე ე. წ.  
მათსავე ენაზე Совокупность человеческих зна-  
ний. მეცნიერს რუსნი ეძახიან «Человѣкъ науки»  
და მკაცრათ არჩევენ მას იმ კაცთაგან, რომელთაც  
ქვია «ученый», განათლებული კიდევ (образованный)  
გაიჩრევა ერთისა და მეორისგანაც. ასეა რუსულათ  
თუ ქართულათ, ვერ მოგინებლათ, ბ—ნი პარიჭა-  
შვილო, და ვეროპიელები რას ეძახიან, ეს თქვენ  
უკეთ გეცოდინებათ. ამით ვათავებთ პირველ საკითხს.  
ჩვენ შევეძლო ამაზე ერცელი ტრაქტატი დაგვეწერა,  
მაგრამ, ვშიშობთ, ეგებ სხვებისთვის ტრუიზმებს ვლა-  
პარაკობთ.

ახლა კი დროა მეორე საკითხზე გადავიდეთ  
და დემონს მიეუახლოვდეთ. «სწორმეტყველებაში»  
წერია, რომ სიტყვა დემონი წარმოდგარაო სამი  
სიტყვისგან: დეონ, ეთონ, მეტი. დაწერილებით ამისი  
განხილვა შეუძლებელია იქნებოდა სახელმძღვანელო  
წიგნში, როგორც მკითხველი დაინახავს შემდეგს  
წერილში. ბ—ნი პარიჭაშვილისთვის კი ღმერთს  
არც იმდენი ნიჭი მიუცია, რომ თავისთავათ რასმე  
მიხვდეს, არც იმდენი სითავდაბლე, რომ სხვებს რას-  
შიმე დაეკითხოს. მისთვის საკმაოა «ფილოლოგიური  
მარგალიტი» იძახოს და მით უნდა თავისი ვოლტე-  
რობა დაგვიმტკიცოს, მოლტერისგან დაცინვა არ  
კმარა? რაღა ანალიზით თავი აიტკიცოს: ენა-  
ხრათ.

## ახალი ამბები და შენიშვნები.

ჩვენ შევიტყუეთ, რომ ყოვლად სამღვდლო იმე-  
რეთის ეპისკოპოსის შაბრიელის თავისნობით განუ-  
ზრახავთ ეკლესიის აღშენება ქალაქ მუთაისის აღმო-  
საველეთის ნაწილში მათი იმპერატორებითა უდიდ-  
ბუღესობათა სასწაულებრივ გადარჩენის მოსაგონებ-  
ლად 17 ოქტომბერს 1888 წ. თვითონ მოთავე ამ  
საქმისა ყოვლად სამღვდლო შაბრიელი სწირავს 500  
მანეთს. ეჭვი არაა, რომ ამ მშვენიერ საქმისათვის  
არც ადგილობრივი მთავრობა და არც საზოგადოება  
არ დაზოგავს თავის საშუალებას.

\* \*

ნათქვამია: «რევენი საქმეს წაახდენს, ფათარაკს  
დააბრალდებოა». ზოგიერთი კმაწვილები, გატაცებულნი  
იმ აზრით, რომ მათ საეკლესიო-სამრევლო სკოლე-  
ბის გახსნისათვის ხარკივამ გამოირცხვენ ანუ მთავ-  
რად და მღვდლად აკურთხებენ, სკოლებს ხსნიან და  
იმას კი აღარ ფიქრობენ, თუ რა სამძიმოა მასწა-  
ვლებლობა. როდესაც მათ სკოლებს რევიზორები  
იხილვენ და შაგირდებს რიგიანად მომხადებულს ვერ  
პოუბენ, ამის მიზეზად თავის თავს კი არ ცნობენ  
ეს ვაჭბატონები, არამედ სხვა პირები გამოჰყავთ და-  
მნაშავედ. ხშირად ამ ბატონებს მრევლის მღვდლები  
გამოჰყავთ ხელის შემშლელად, რომ ეგებ ისინი დაი-  
თხოვონ მღვდლობიდან და მათი ადგილი თვითონ  
ჩაიკდონ ხელში. პარკი მოფიქრებაა სწორეთ!..

\* \*

აუხანეთილად გვეწერენ: «აუხანები თავიანთ მიც-  
ვალბუღებებს ხშირად მარხვენ თავიანთ ეჭობებში, ან  
იმ ადგილს, სადაც მოეწონებათ. ამიტომ ურიგო არ  
იქნება, რომ სასულიერო და სახორციელო მთავრო-  
ბანი ჯეროვანს ყურადღებას მიაქციევენ ამ საქმეს და  
დანიშნავენ საზოგადო სასაფლაოებს ან სოფლის  
საშუალო ადგილებში და ან ეკლესიების გალავნებში».

\* \*

სოხუმის ეპარქიის, გუდაუთის მაზრის, სოფლის  
კალდახვარას ეკლესიის კრებული და სამწყსო გუ-  
ლითად მადლობას სწირვენ თავადი გიორგი ინანი-  
შვილის ქერივს კნენა მერა შერვაშიძის ასულს, რომ-  
მელმაც ხსენებულს ეკლესიას თავის ხარჯით აუშენ-  
ნა მშვენიერი სამრევლო, რომელზედაც დაინახვა  
უმეტეს 400 მანეთისა.

\* \*

სამეგრელოის ეპარქიის, სენაკის მაზრის  
სოფლის მაცხოვარისკარის მაცხოვრის ეკლე-  
სიისათვის ქვემოლ მოხსენებულ პირთ შეუ-  
წირავთ შემდეგი ნაფთები: მადგარ მ. მანტურაიას

18000 ანგური სამრეკლოს ასაშენებლად; ფოთის ეპარს მასილ ი. თოფურიას ფილონი თავისი მოწყობილობითურთ და ორი დიდი შანდალი, ღირებულნი 150 მანეთად, მასთან აღუთქვამს ეკლესიისათვის სამასი მანეთის ღირებული ზარების ყიდვა; კონსტანტინე რ. ჭანტურაიას შეუწირავს ერთი რწყვილი ბაირალი თავისი მოწყობილობით, ღირებული 50 მანეთად; პეტრე ხ. ჭანტურაიას—ტრაპეზის ორი შანდალი, ღირებული 5 მანეთად; იაგორ ჭანტურაიას—ტრაპეზის წინ დასაგები ნოხი; ალექსი ს. ჭანტურაიას შეუმკია ტრაპეზი იერუსალიმიდამ მოტანილი გეგმისაგებრ.

შველა ამ პატიოსან და ღეთის-მოსავე პირთ გულითად მადლობას ეუძღვნიან ჩვენი გაზვითის საშუალებით როგორც ხსენებული ეკლესიის კრებული, ისე მრევლი.

\* \*

დ. შვირილა თან-და-თან მატულობს, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ სახლები შენდებიან უბლანოდ. შენობებს მიაყალბენ გზის პირს, ასე რომ მდინარე ყვირილაზე მისვლა მარჯვენა მხრით არ შეიძლება გარდა ერთი ადგილისა. მასთან მდინარის მთელი ეს ნაპირი მეტად ბინძურად არის შენახული და კაცი ყურადღებას არ აქცევს.

\* \*

მეთაისის მაზრის სოფლის ზედა-მალაკის მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიისათვის თავადს დავით (დათიკოს) ქონსტანტინეს ძეს ნიჭარაძეს შეუწირავს შემდეგი ნივთები: ერთი ხელი ფარჩის შესამოსელი, დაფარნები, ერთი ვერცხლის ჯვარი ოქროთი დაფერილი, ორი წყვილი დიდი და პატარა შანდლები და ერთი წყვილიც დასაკიდებელი შანდლები, სულ ორასი მანეთის ღირებულნი. ამ შეწირულებითავე გულითად მადლობას უძღვნიან ამ თავადს როგორც ხსენებული ეკლესიის კრებულნი, ისე სამრევლონი.



## სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილმზენობაზედ.

დაბადება ყოვლად წმიდა ღეთისმშობლისა და სხომკება მართალთა იოაკიმსა და ანნასი.

ყოვლად წმიდა ღეთის-მშობლის დაბადებას ვდღესასწაულობთ ჩვენ რვა სექტემბერს. მს დღესასწაული ერთი უდიდესთავანია ათორმეტ დღესასწაულთა შორის.

ყოვლად წმიდა ქალწული მარიაში დაბადა გალილეის ქალაქ ნაზარეთში, მართალ და ღეთისმოსავე მშობელთაგან, იოაკიმე და ანნასაგან. ჩვენ უწოდებთ მათ მართალთა და ვდღესასწაულობთ მათ ხსენებას ცხრა სექტემბერს. წმიდა იოაკიმე ნათესავი იყო ღაეთისა, ისრაილების ძველი მეფის და წინასწარმეტყველისა, რომელსაც ღმერთმა რამდენიმე საუკუნით წინეთ აღუთქვა, რომ მისი ნათესავისაგან დაიბადებოდა მაცხოვარი ქვეყნისა.

იოაკიმე და ანნა იყვნენ ქველის მომკმენდი, ყოველ დღესასწაულზე უხვად არიგებდნენ მოწყალეებას და მასთან სწირავდნენ ტაძარს, და საზოგადოდ გულს მოდგინებით ასრულებდნენ უფლის მცნებას. მათ ღირს ცხოვრებას თვალ-საჩინოდ ამტკიცებს ის, რომ ღმერთმა დანიშნა ისინი ყოვლად წმიდა ქალწულ მარიაშის მშობლებად, ღეთისმშობლის დედისა, რომელიც უწმიდესია ქერაბიმთა და ყველა წმიდანებზე. ქალწული მარიაშის დაბადება, როგორც იოანე წინამორბედისაც, წინ-და-წინვე ნახარები იყო ანგელოზისაგან. აი როგორ მოხდა ეს.

ორმოც-და-ათი წელიწადი მეტი სცხოვრებდნენ იოაკიმე და ანნა, მაგრამ შეილები არა ჰყავდათ. მსგავსად ზაქარიასა და მლისაბედისა, იგინი სწყუბდნენ უშვილობას. მართებელ, დიდ დღესასწაულზე, იოაკიმე მივიდა ტაძარში, რომ ღეთისთვის მსხვერპლი შეეწირა. იუდეელები ჩვეულებრივად სწირავდნენ ღმერთს მსხვერპლად სხვა-და-სხვა შესაწირავს, და ამ დღეს ტაძარში იყო მრავალი ხალხი. მღვდელმთავარმა

სხვებთან ერთად დაუწყო ყვედრება იოაკიმეს და უთხრა: «შენ ალბად დიდი ცოდვილი ხარ, რომ ლმერთი არ გაძღვეს შეილებს, ამიტომ შენ ღირსი არა ხარ მსხვერპლი შესწირო ლმერთს. იოაკიმეს ძალიან საწყენად დაურჩა მღვდელ-მთავრის ასეთი სიტყვები და ტაძრიდან წავიდა. როდესაც სხვები მზიარულობდნენ და შეხაროდნენ ღღესასწაულს, იოაკიმე უიმედოდ მწუხარებდა და თავის სახლში დაბრუნების მაგიერ, იგი წავიდა უდაბნო ადვილს, სადაც სძოვდნენ მისი ჯოგნი. იქ მან დიდხანს იტორა, შემდეგ გულით შევედრა ლმერთს; მან გაიხსენა ლეთის ურიცხვი მოწყალეხანი, რომელიც მოუვლინა ლმერთმა ისრაილების ხალხს, იგი ცოტათი დაიმედდა და მტკიცე სასოება დასდვა ლმერთზე. ლოცვის შემდეგ, იოაკიმემ ალექსანდრისა ლმერთს იმარხულოს ორმოცი დღე და მთელი ეს დრო იცხოვროს უდაბნოში. «მექმნეს მე ცრემლიანი საჭმელად და უდაბნო სახლად, ვიდრემდის ლმერთი ისრაილისა არ მომივლენს თავის მოწყალეხას», ამბობდა იგი.

იოაკიმეს მეუღლემ ანნამ შეიტყო ყოველივე ის, რაც მოხდა ტაძარში და როცა დაინახა, რომ მისი ქმარი არ ბრუნდება, იწყო უიმედო ტირილი და მწუხარება. ამ მწუხარებაში გაატარა მან რამოდენიმე დღენი. მართლაც იგი იჯდა თავის ბაღში დიდი ხის ჩრდილის ქვეშ; თავის მწუხარების დროს მან ღრმად ამოიოხრა და თვალ ცრემლიანმა აჩხვდა ცისაკენ. ხის ტოტებში დაინახა ფრინველის ბუდე, რომელშიაც პატარა ბლარტები იყო, ამან კიდევ უფრო გააორკეცა მისი მწუხარება. «მე ალბად ყველაზე უფრო ცოდვილი ვარ ქვეყანაზე, — წარმოთქვა მან, — და ამიტომ ლმერთმა არ მომცა მე შეილები. შველანი ეფერებთან თავის შეილებს, და მე კი მოკლებული ვარ ამ ბედნიერებას. შრინველებსაც კი ჰყავთ თავის ბლარტები და მხეცებს შეილები, და მიწაც იძლევა ნაყოფს სადიდებლად ზეციური მამისა». ამ სიტყვების შემდეგ თვალცრემლიანმა იწყო ლეთის ვედრება. შეცრად იხილა მან თავის წინ ანგელოზის ლეთისა, რომელმაც რქვა მას: «ანნა, ანნა! შენი ვედრება შეისმინა ლმერთმა: შენმა ოხვრამ მიაწია უფლისადმი; ლმერთმა იხილა შენი ცრემლები. შენ შობ ქალს ყოველად კურთხეულს. მისი საშუალებით იკურთხებიან ყოველნი ნათესავნი ქვეყნისა და მიენიჭება ცხოვნება მთელს ქვეყანას. შენ უწოდებ შენგან შობილს მარიამი». ამ სიტყვების შემდეგ

ანგელოზი განზორდა, ხოლო ანნამ, აღსებულმა გამოუთქმელი სიხარულითა, იქვე დასდვა ალექსანდრის შესწიროს თავის ქალი ლმერთს და გაეშურა იერუსალიმში, რომ ტაძარში ედიდებია უფალი.

იმავ დღეს ანგელოზი გამოეცხადა იოაკიმესაც უდაბნოში და რქვა მას: «იოაკიმე! ლმერთმა ისმინა შენი ვედრება და მოგივლინა შენ თავისი მოწყალეხა. შენი მეუღლე შობს ქალს, და მის დაბადებას შეხარებს მთელი ქვეყანა. აი ჩემი სიტყვების სიმართლის დასამტკიცებლად, შენ წადი იერუსალიმში, უფლის ტაძარში; იქ ოქროს ალყაფის კარებთან შენ ნახავ შენს ცოლს, რომელსაც ნახარები აქვს ესევე».

იოაკიმემ, რომელიც გააკვირვა და გაახარა ამ ხილვამ, იწყო ლეთის დიდება; შემდეგ წავიდა იერუსალიმში და, როგორც უთხრა მას ანგელოზმა, იხილა ტაძარში თავის მეუღლე, რომელმაც უამბო მას ყოველივე. იგინი მხურვალედ შევედრენ ლმერთს და დაბრუნდნენ შინ.

ანნამ მართლა შობა ქალი, ყოველად წმიდა ქალწული მარიამი. იოაკიმემ შესწირა ლმერთს დიდი მსხვერპლი, და ყველანი აქებდნენ და აკურთხევდნენ უფალს ამ მოვლენილი მოწყალეხისათვის.

ყოველად წმიდა ქალწულს მარიამს მართალნი მშობელნი ინახავდნენ როგორც თავის თვალის გუგას, და არა მარტო უყვარდათ, არამედ პატივსაც სცემდნენ, ახსოვდათ რა მის შეახებ ანგელოზის სიტყვები. როცა ქალწული მარიამი შესრულდა სამი წლისა, მშობლებმა მიიყვანეს იგი ტაძარში და, ალექსანდრისა, შესწიროს ლმერთს. ამ შემთხვევას ედღესასწაულობთ ჩვენ 21 ნოემბერს და უწოდებთ **ღეთის-მშობლის ტაძრად მიყვანებას**. მალე ამის შემდეგ იოაკიმე გარდაიცვალა შობილგან ოთხმოცი წლისა. მაშინ მისმა ქეროვმა დასტოვა ნახარეთი და გადაესახლა იერუსალიმში, სადაც სცხოვრობდა თავის ქალის მახლობლად და დაუცხრომლად ლოცვილობდა ტაძარში თავის სიკვდილამდე. იგი გარდაიცვალა ორი წლის შემდეგ მისი ქმრის გადაცვალებისა, შობილგან სამოცდა ცხრაშეტი წლისა.

ყოველ ლეთის-მსახურების დროს იდიდება ყოველად წმიდა ქალწული მარიამი, რომელიც ღირსი გახდა ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს დედად ყოფნისა და აგრეთვე იხსენებან წმიდანი ლმერთ-შემოსილნი მშობელნი მისნი იოაკიმე და ანნა.

აგალეზა პატიოსნისა და ცხოველსკოჲელის  
ჯვარისა.

14 სექტემბერს.

უფლის პატიოსანის ჯვარის თაყვანის-ცემას მართლ-მადიდებელი ეკლესია ასრულებს რამოდენიმე ჯერ წელიწადში: დიდი მარხვის მეოთხე კვირას, რომელიც ამიტომ იწოდება **ჯვარის თაყვანის ცემის კვირაჲკედ**; შეიღ მაისს, როცა დღესასწაულოდენ ჯვარის სასწაულს; პირველი აგვისტოდამ 14 სექტემბრამდე იხსენება ჯვარის ამალეება იერუსალიმში და ხილვა ჯვარისა იმპერატორი ქონსტანტინესაგან. იესო ძრისტეს ვნებათა და სიკდილის მოსაგონებლად, ამ დღეს დაწესებულია მარხვა.

მეოთხე საუკუნის დასაწყისში, ერთსა და იმავე დროს რამდენიმე მმართველი (ანუ კეისრები) განაგებდენ რომია იმპერიას, რომლის მრავალ რიცხოვანი სამფლობელოები გაყოფილნი ჰქონდათ ერთმანეთში. იტალიას და რომს განაგებდა მაქსენტი. იგი იყო კაცი სასტიკი და ევრცხლის მოყვარე; ამიტომ რამოდენიმე ხნის შემდეგ რომაელნი წინააღმდეგენ მას და შემწეობა სთხოვეს მის წინააღმდეგ ქონსტანტინეს, რომელიც იმ დროს მართავდა მალლილიას, ბრიტანიას (საფრანგეთს და ინგლისს) და ისპანიას. 312 წელში ქონსტანტინემ შეჰკრიბა ჯარი და ჩხუბი გამოუცხადა მაქსენტის. ქონსტანტინე ჯერ ამ დროს კიდევ კერპთ-თაყვანისმცემელი იყო, მაგრამ ეტყობოდა, რომ მიმზიდველობა ჰქონდა ძრისტეს სარწმუნოებისადმი, რომელიც მიიღო შემდეგში. მას მიჰყავდა თავის ჯარი რომის დასაპყრობად, სადაც იმყოფებოდა მაქსენტი, მაგრამ ამ დროს უცურად შუადღისას ქონსტანტინემ და ყველა მისმა მხლებლებმა დაინახეს ცაზედ ბრწყინვალე ჯვარი ზედ წარწერით: «ამითი სძლევდე». ქონსტანტინე და მხედრები შეკრთენ, რადგან ეს მოვლენა მიიღეს კუდ ნიშნად. რომაელნი ჯვარს უტკეროდენ როგორც სამარცხენო იარაღს სასჯელისას, და ამიტომ ჯვარის ხილვა მხედრებმა ჩასთვალეს უბედურების და სიკედილის მომასწავებლად. იმავე ღამეს ქონსტანტინემ ძილში ნახა ახალი ხილვა: მას გამოეცხადა თვით იესო ძრისტე, უბრძანა მას გაეკეთებინა ღერბი, რომელზედაც გამოხატული ყოფილიყო ჯვარი, ამისთანა ჯვარი უნდა გამოეხატათ იარაღებზედ, ჩაფხუტებზე და ფარებზე და აღუთქვა გამარჯეება

მტრებზე. ქონსტანტინემ აღასრულა ბრძანება და, როცა სძლია მაქსენტის, შევიდა რომში. მან მხოლოდ უფალს შესწირა მადლობა გამარჯეებისათვის, და როცა შემდეგში იმას ძეგლი დაუდგეს, ქონსტანტინემ ბრძანა მიეცათ მისთვის ხელში გრძელი შუბი, ჯვარის სახედ, ზედ წარწერით: «ამ მხსნელი იარაღით ქალაქი ესე განთავისუფლებულ იქმნა მწვალებელთა მონებისაგან».

ამ შემთხვევის მოსაგონებლად ჩვენ ვადიდებთ უფლის ჯვარის ღვთიურს ძალას, როგორც ძლევის იარაღს, და ამიტომ იგალობებთ: «აცხოენე, უფალო, ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი, ძლევა ჯვარისა ბარბაროსთა ზედა კეთილ მორწმუნესა იმპერატორსა ჩვენსა მოანიქე და ერი შენი საფარველსა ქვეშე მისა დაიცე».

ჯვარი კიდევ ორჯერ იხილა ქონსტანტინემ. ამ ხილვამ უფრო მიიზიდა იგი ძრისტეს სარწმუნოებისადმი, რომლის მიღება დაბოლოს გადასწყვიტა მან, მით უმეტეს, რომ დედა მისი დედოფალი მლენე უკვე ქრისტიანე იყო. ქონსტანტინე და დედოფალი მლენე მართლ-მადიდებელმა ეკლესიამ შერიცხა წმიდანებათა შორის და იგინი იწოდებიან მოციქულთ-სწორად, რადგან მსგავსად წმ. მოციქულთა, გულის მოდგინებით აერცვლებდენ ძრისტეს სარწმუნოებას.

წმ. ელენემ ისურვა ენახა თვით ის ჯვარი, რომელზედაც აცვეს ქრისტე. ამისათვის იგი განზრახ წავიდა იერუსალიმში და იქ დიდხანს პატრიარქ მაკარისტან ერთად ეძებდა უფლის ჯვარს; მაგრამ არაფერი არ იცოდა, სად იყო იგი. მა ბოლოს ერთმა მოხუცებულმა ებრაელმა უჩვენა ადგილი, სადაც იყო გოლგოთა. რადგან ებრაელებს ჩვეულება ჰქონდათ სასჯელის იარაღები ჩაემარხათ იმავე ადგილს, სადაც სჯიდენ დამნაშავეთა, აღბად იმავე ადგილს მდებარეობდა ჯვარი ქრისტესი. გოლგოთაზე აღშენებულ იქმნა რომის ერთი იმპერატორის აღრიანესაგან ბომონი (ტაძარი კერპთა) დედოფალმა ელენემ ბრძანა დაენგრიათ ეს ტაძარი; მართლაც მის ქვეშ მიწაში ნახეს სამი ჯვარი. ეს მოხდა 6 მარტს 326 წელსა. ამ სამ ჯვარში ერთზე აცვეს მაცხოვარი, ხოლო ორ სხვაზე ორი ავაზაკი; მაგრამ როგორ გამოეცნოთ, რომელი ჯვარი იყო უფლისა? პატარა ფიცარი, ზედ წარწერით, რომელიც იესო ქრისტეს ჯვარზე იყო მიკრული, დიდი ხანია, რაც მოშორებოდა ჯვარს. ამ დროს გოლგოთას მახლობლად გაატარეს მიცვალებული. პატრიარქმა შეაჩერა ხალხი და უბრძანა ჯვრებით შეხება მიცვალებულის სხეუ-



ლზე. მივანლა თუ არა მიცვალებულს ჯვარი—რო-  
მელზედაც ჯვარცმულ იქმნა ქრისტე, მიცვალებული  
მაშინვე გაცოცხლდა. ჭველანი აღივსენ სიხარულით,  
სცეს თაყვანი ცხოველის მყოფელს ჯვარს; მაგრამ  
რადგან აქ ამ დროს დიდძალი ხალხი იყო შეკრები-  
ლი, თითოეულს არ შეეძლო ჯვართან მისვლა და  
თაყვანის ცემა სივიწროვისა გამო, ამიტომ ხალხმა  
სთხოვა პატრიარქს აღემაართა ჯვარი, რომ ყველას  
ეხილა იგი. პატრიარქი ავიდა მალეობ ადგილზე  
და იქ აღმართა მაცხოვრის ჯვარი. მთელი ხალხი  
ლოცვილობდა, ხედავდა რა ჯვარს და ლმობიერის  
გულით ამბობდა: «უფალო, შეგვიწყალე! იხილეს  
რა ეს სასწაული, მრავალი კერპთ-თაყვანის მცემელი  
ერწმუნენ ქრისტეს და მოინათლენ.»

თით-იმ ადგილზე, სადაც ნახეს ჯვარი, დე-  
ლოფალმა ელენემ აღაშენა ტაძარი სადიდებლად  
აღდგომილი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა. ამ  
ტაძარში დასვენებულ იქმნა უფლის ჯვარი; მისი ნა-  
წილი, რომელიც მოცილებოდა ჯვარს და ლურსმენ-  
ბი, დასვენებულნი ქრისტე მაცხოვრის წმიდა სის-  
ხლით, ელენემ მოიტანა პონსტანტინეპოლში. სხო-  
ველ მყოფელი ჯვარის ეს ნაწილი მიიტანეს რუსე-  
თში 1799 წელში მალტიდგან და დღეს იმყოფება  
პეტერბურგში.

614 წელში ხოზროი, პერსიის მეფე, ვომე-  
ბოდა საბერძნეთის მეფე შოკის, მან აიღო იერუსალიმი,  
დაანგრია ეკლესიები და წაიღო პერსიაში ყოველივე,  
რაც კი მათში მოინახებოდა ძვირფასეული, მათ  
რიცხვში ცხოველს-მყოფელი უფლის ჯვარიც. მში  
დიდხანს გაგრძელდა, და შოკის სიკვდილის შემდეგ  
ომობდა მისი ძე ირაკლი, პირველად თუმცა ვერ  
იმარჯვებდა, მაგრამ დაბოლოს მან სძლია ხოზროის,  
რომელიც ამის შემდეგ მალე კიდევ მოჰკლეს. მისი  
შემკვიდრე შეურიგდა ირაკლის, დაუბრუნა ტყვენი  
და ყოველივე ის, რაც მისმა მამამ მოიტაცა იერუ-  
სალიმში 14 წლის წინად.

მეფე ირაკლიმ დიდის ცერემონიით დაუბრუნა  
იერუსალიმს მისი წმიდა საკუთრება. პატრიარქი ზაქა-  
რია მრავალი ხალხით, რომელთაც ხელში ბზის ხის  
რტოები ეკავათ, შეეგება მეფეს გზაზე ელფონის მთის  
აქეთ. მეფე მიდიოდა მდიდრული სამეფო ტანთ-სა-

ცმელით, რომელიც მოქარგული იყო ოქროთი  
და ძვირფასი ქვებით, სამეფო ვეირგვინით თავზე.  
როცა იერუსალიმს მიუახლოვდა, მეფემ თვითონ  
ისურვა ჯვარის წაღება და აიღო იგი მხარზე, მაგრამ  
როცა გოლგოთასთან ალაყაფის კარებში უნდა გა-  
სულიყვენ, უეცრად ჯვარი გაკაფებულ იქმნა ღვთიუ-  
რი უხილავის ძალისაგან; მისი დანძრევა ვეღარ მო-  
ახერხეს, ყველანი განცვივრდნენ, არ იცოდნენ, თუ  
რას მოასწავებდა ეს. მაგრამ პატრიარქმა ზაქარია  
უეცრად დაინახა ალაყაფის კარებში მდგომი ღვთის  
ანგელოსი, ბრწყინვალე როგორც ელეა, რომელმაც  
რქვა: „ისე კი არ მიჰქონდა ჩვენს უფალს ეს ჯვარი  
როგორც თქვენ მივაქვსთ.« მაშინ პატრიარქი, რო-  
მელმაც მარტო იხილა ანგელოსი, მიუბრუნდა მეფეს  
და უთხრა მასს: «ხელმწიფე! რიგი არ არის, რომ  
მდიდრული სამეფო ტანთსაცმელით მორთულს მო-  
ვაქვს ჯვარი, რომელიც ჩვენი გულისათვის დამდა-  
ბლებულს და ენებულ მაცხოვარს მიჰქონდა თავის  
ხრებზე მორჩილებით და დამცირებით.» მეფემ მა-  
შინვე მოიხადა ვეირგვინი და პორტუორი, ჩაიცვა  
ღარიბული ტანთ-საცმელი და თავშიშველმა და  
ფეხ-შიშველმა წაიღო ტაძარში უფლის ჯვარი. პატ-  
რიარქმა დაასვენა ის უწინდელს ადგილს, და ყვე-  
ლანი ლოცვილობდნენ და იმეორებდნენ: «უფალო,  
შეგვიწყალე.»

ამ სასწაულებრივ ხილვისაგან ეხედავთ, რომ  
მორჩილებით უნდა მივიღოთ უფლის მოწყალება, და  
მხოლოდ იმას უნდა შევსწიროთ დიდება ყოველივე  
ჩვენი კეთილ შესრულებული საქმეებისათვის, არ  
უნდა ვამპარტავნობდეთ და ვმედიდურობდეთ.

**შინადასი:** სოფლის მდკელას სმა მრეკლთადმი  
საკეკლესიო-სამზრუნველკლესის და მშობთა დასკების  
შესახებ.—გაგასისის სამეურნეო გამოფენის გურთხევა  
თბილისში.—თბილისის სასულიერო სემინარიის ახალი  
რექტორი აქტიმენდრიტი მ. ნიკოლოზი.—«მწვემსის»  
გორაკის მდგენი აფესუთიდან.—საისტორიო მასალა.  
—ღამატია მტენიანება თუ სელოვნება.—ახალი ამბები  
და შეხიშვნები.—დაბლება ყოვლად წმ. ღვთისმშობლისა  
და ცხოვრება მართალთა იოაკიმისა და ანასის.—  
ამაღლება შატოხისის ცხოველსყოფელის ჯვარისა.